არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,აგროსერვის ცენტრის'' ქვეპროგრამის „სასათბურე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და თანადაფინანსების გაცემის წესი

1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,აგროსერვის ცენტრის'' „სასათბურე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ქვეპროგრამის შესაბამისად რეგულირდება ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და თანადაფინანსების წესი;

2 ტერმინთა განმარტებები:

ა) ,,აგროსერვის – ცენტრი'' – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აგროსერვის ცენტრი'' (შემდგომში ,,ცენტრი'')

ბ) ბენეფიციართა შერჩევის ჯგუფი-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგროსერვის ცენტრის'' დირექტორის ბრძანებით ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ფერმერთა და აგრომეწარმეთა მიერ შემოსული განცხადებების შემსწავლელი ჯგუფი;

გ) დ) თანადაფინანსება - **„სასათბურე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“** ქვეპროგრამით გათვალისწინებული გადასახდელი თანხა, რომელიც ცენტრის მიერ აუნაზღაურდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ მშენებელ კომპანიას.

ზ) ქვეპროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

3 სათბურების მშენებლობის (გარდა მიწის სამუშაოებისა) ღირებულების 80%-ის თანადაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ხოლო 20% -ის თანადაფინანსება - ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ.

4 კომისიის მიერ შერჩეული ბენეფიციარები მიიღებენ თანადაფინანსებას 104 მ²; 200 მ², 300 მ², 500 მ²-იან სასათბურე მეურნეობების გასაშენებლად.

5 ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ წერილობით მოწოდებული მსურველ ბენეფიციართა განცხადებებთან ერთად განცხადებების მიღება იწარმოებს 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში;

6 განცხადებასთან ერთად ფერმერი/კოოპერატივი ვალდებულია წარმოადგინოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის საკუთრებასთან შესახებ, არანაკლებ 10 წლიანი საიჯარო ხელშეკრულება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი. (იპოთეკის ან სხვა ვალდებულებების შემთხვევაში ბენეფიციარის განცხადება არ განიხილება);

7 ბენეფიციართა შერჩევის კომისია ვალდებულია ადგილზე შეამოწმოს სასათბურე მეურნეობის გაშენების მსურველი ფერმერის ტერიტორია, შეადგინოს აქტი დანართი N1 შესაბამისად ფოტო მასალასთან ერთად და წარუდგენს კომისიას;

8 კომისიის მიერ წინასწარ შერჩეულ პოტენციური ბენეფიციარებს წერილობით გაეგზავნება მოთხოვნა კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყონ

სასათბურე მეურნეობის განვითარების ტერიტორიის მოწყობა, კერძოდ: მოსწორება, მრავალწლიანი ნარგავებისგან გასუფთავება, კომუნიკაციის(წყალი, დენი) მიყვანა, შემოღობვა და ა.შ.

9 მაკონტროლებელი ჯგუფი ვალდებულია წერილობით მიმართავაში მოთხოვნილი ვადის ამოწურვის შემდეგ ადგილზე გასვლით შეამოწმოს ბენეფიციარის ტერიტორია და შეადგინოს აქტი დანართი N2 შესაბამისი (ფოტოსურათთან ერთად)

10 კომისიის მიერ მოთხივნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შერჩეული ბენეფიციარი ვერ ისარგებლებს პროგრამით;

11 ბენეფიციარმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს განახლებული მიწის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან , ხოლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში ბენეფიციარი ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საბანკო გარანტია მის მიერ გადასახდელ თანხაზე არანაკლებ 5 თვისა.

12 განახლებული მიწის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან/და საბანკო გარანტია მის მიერ თანამონაწილეობით გადასახდელ თანხაზე ვადით არანაკლებ 5 თვისა წარმოუდგენლობის შემთხვევაში შერჩეული ბენეფიციარი ვერ ისარგებლებს პროგრამით;

13 ,,სასათბურე მეურნეობის განვითარების ხელშოწყობა'' ქვეპროგრამის ხელმძღვანელის მიერ კვარტალის (წლის) განმავლობაში სრული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ წარედგინება ცენტრის დირექტორს;